

შპს „სიბელ„

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

## შინაარსი:

### ფინანსური ინფორმაცია

|                                                     |   |
|-----------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                  | 3 |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება          | 5 |

|                               |      |
|-------------------------------|------|
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები | 6-16 |
|-------------------------------|------|

შპს „სიბელ“,  
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარი)

|                                            | შენიშვნა | 2018                | 2017                |
|--------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| <b>აქტივები</b>                            |          |                     |                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |          |                     |                     |
| ძირითადი საშუალებები                       | 4        | 150,860.15          | 161,045.30          |
| არამატერიალური აქტივები                    | 5        | 5,110.71            | 6,234.27            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |          | <b>155,970.86</b>   | <b>167,279.57</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |          |                     |                     |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6        | 22,359.19           | 10,963.82           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 7        | 369,721.99          | 288,303.86          |
| მარაგები                                   | 8        | 1,137,968.14        | 1,037,478.21        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |          | <b>1,530,049.32</b> | <b>1,336,745.89</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |          | <b>1,686,020.18</b> | <b>1,504,025.46</b> |

#### მთლიანი კაპიტალი

|                                           |                     |               |
|-------------------------------------------|---------------------|---------------|
| საწესდებო კაპიტალი                        | 0.10                | 15,099.20     |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | (102,221.56)        | (14,788.00)   |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       | <b>(102,221.46)</b> | <b>311.20</b> |

#### მოკლევადიანი ვალდებულებები

|                                            |   |                     |                     |
|--------------------------------------------|---|---------------------|---------------------|
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 9 | 1,780,483.68        | 1,540,961.09        |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |   | 7,757.96            | (37,246.83)         |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |   | <b>1,788,241.64</b> | <b>1,503,714.26</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |   | <b>1,788,241.64</b> | <b>1,503,714.26</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |   | <b>1,686,020.18</b> | <b>1,504,025.46</b> |

დირექტორი:

*გ. გვინიაძე*

მთავარი ბუღალტერი

*გ. გინიაძე*

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

|                                 | შენიშვნა  | 2018             |
|---------------------------------|-----------|------------------|
| ამონაგები                       | <u>12</u> | 5,870,450        |
| თვითღირებულება                  | <u>13</u> | (4,672,723)      |
| <b>საერთო მოგება</b>            |           | <b>1,197,726</b> |
| სხვა შემოსავლები                |           | -                |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი | <u>16</u> | (1,234,403)      |
| სხვა ხარჯები                    | <u>15</u> | (48,641)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>        |           | <b>(85,317)</b>  |
| ფინანსური შემოსავალი            |           | 925              |
| ფინანსური ხარჯი                 | <u>17</u> | (3,041)          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>       |           | <b>(87,434)</b>  |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b> |           | <b>(87,434)</b>  |

დირექტორი: *ვ. გვრიხიანი*

მთავარი ბუღალტერი: *ქ. გიგინეიშვილი*

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|---------------------|
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>15,099</b>         | -                      | <b>(14,788.00)</b>      | <b>311.20</b>       |
| წმინდა მოგება                 | -                     | -                      | (87,434)                | (87,434)            |
| პერიოდის სრული<br>შემოსავალი  | -                     | -                      | (87,434)                | (87,434)            |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა      | (15,099)              | -                      | -                       | (15,099)            |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>0</b>              | -                      | <b>(102,222)</b>        | <b>(102,221)</b>    |

დირექტორი: *გ. ვვახიძე*

მთავარი ბუღალტერი: *ბ. გარეჯი*

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სიბელ“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 28 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400178981. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო-საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით (მიწები, ონკანები, ფიტინგები, რეზინის შლანგი, ხელის ინსტრუმენტები (ჩაქუჩი, ხერხი, სახრახნისი), საკეტი). შპს „სიბელ“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 100 – მდე დასახელების საქონლის იმპორტს, ესენია: შემრევი ონკანები, აბაზანის აქსესუარები, ფილტრები, ვინტილები. კომპანია აღნიშნული პროდუქტების იმპორტს ახორციელებს ძირითადად თურქეთიდან. კომპანიას 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით გააჩნდა ერთი სავაჭრო ობიექტი (მაღაზია) სტანისლავსკის ქ. 12. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, გლდანის ხევი, კორ. 2, ბ. 23. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია რევაზ აბდუშელიშვილი. კომპანიის დირექტორია გიორგი გვიჩიანი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 15 099 ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 33 ადამიანი.

### ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალნსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

### სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

## ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 12 თვემდე. 12 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

## ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

## ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

## ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

## ძირითადი საშუალებები

### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი           | სასარგებლო მომსახურების<br>ვადა (წლები) |
|-------------------------------------|-----------------------------------------|
| ოფისის აღჭურვილობა                  | 5 წელი                                  |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 5 წელი                                  |
| სარეკლამო ბანერები                  | 5 წელი                                  |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 10 წელი                                 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5 წელი                                  |

## არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საადრიცხოვო პროგრამები (6 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

### მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

### დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

### შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

### ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხოვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

#### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

#### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

#### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | ევრო   | აშშ დოლარი | თურქული ლირა |
|----------------------------------|--------|------------|--------------|
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.0701 | 2.6766     | 0.5076       |
| კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.1044 | 2.5922     | 0.6874       |

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

### 3. ძირითადი საშუალებები

|                                | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავტო და<br>სხვა<br>ინვენტარი | სარეკლამო<br>ბანერები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | ჯამი    |
|--------------------------------|-----------------------|------------------------------|-----------------------|-----------------------------|----------------------------------------------|---------|
| ლარში                          |                       |                              |                       |                             |                                              |         |
| 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 102,919               | 1,854                        | 27,678                | 47,372                      | 10,695                                       | 190,518 |
| შესყიდვა                       | 11,782                |                              | 864                   | 11,024                      |                                              | 23,670  |
| გასვლა                         | 254                   |                              |                       |                             |                                              | 254     |
| გაუფასურება                    |                       |                              |                       |                             |                                              | -       |
| შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია    |                       |                              |                       |                             |                                              | -       |
| გადაფასების რეზერვი            |                       |                              |                       |                             |                                              | -       |
| 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 114,447               | 1,854                        | 28,542                | 58,396                      | 10,695                                       | 213,934 |
| დაგროვილი ცვეთა                |                       |                              |                       |                             |                                              |         |
| 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 19,776                | 419                          | 5,758                 | 2,265                       | 1,254                                        | 29,473  |
| ცვეთის ხარჯი                   | 22,268                | 371                          | 5,694                 | 3,158                       | 2,139                                        | 33,630  |
| გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა | 30                    |                              |                       |                             | -                                            | 30      |
| 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 42,015                | 790                          | 11,452                | 5,423                       | 3,394                                        | 63,074  |
| საბალანსო ღირებულება           |                       |                              |                       |                             |                                              |         |
| 2017 წლის ბოლოს                | 83,143                | 1,435                        | 21,920                | 45,107                      | 9,441                                        | 161,045 |
| 2018 წლის ბოლოს                | 72,432                | 1,064                        | 17,090                | 52,973                      | 7,302                                        | 150,860 |

#### 4. არამატერიალური აქტივები

| ლარი                          | პროგრამები |   |   | ჯამი  |
|-------------------------------|------------|---|---|-------|
| 2017 წლის ბოლოს               | 7,490      |   |   | 7,490 |
| შემოსავლა                     |            |   |   | -     |
| გასვლა                        |            |   |   | -     |
| 2018 წლის ბოლოს               | 7,490      | - | - | 7,490 |
| დაგროვილი ამორტიზაცია         |            |   |   |       |
| 2017 წლის ბოლოს               | 1,256      |   |   | 1,256 |
| პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი   | 1,124      |   |   | 1,124 |
| გასულის დაგროვილი ამორტიზაცია |            |   |   |       |
| 2018 წლის ბოლოს               | 2,379      | - | - | 2,379 |
| საბალანსო რირებულება          |            |   |   |       |
| 2017 წლის ბოლოს               | 6,234      | - | - | 6,234 |
| 2018 წლის ბოლოს               | 5,111      | - | - | 5,111 |

## 5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                    | 31/12/2018    | 31/12/2017    |
|--------------------------|---------------|---------------|
| ფული სალაროში            | 19,058        | 4,118         |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 3,301         | 6,846         |
|                          | <u>22,359</u> | <u>10,964</u> |

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                    | 31/12/2018     | 31/12/2017     |
|------------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები   | 335,888        | 284,910        |
| საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი | (20,733)       | -              |
| სხვა მოთხოვნები                    | 54,567         | 3,393          |
|                                    | <u>369,722</u> | <u>288,304</u> |

## 7. მარაგები

მარაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში         | 31/12/2018       | 31/12/2017       |
|---------------|------------------|------------------|
| საქონელი      | 1,132,446        | 1,034,990        |
| სხვა მარაგები | 5,523            | 2,488            |
|               | <u>1,137,968</u> | <u>1,037,478</u> |

### 1. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                 | 31/12/2018       | 31/12/2017       |
|-----------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 1,774,484        | 1,545,411        |
| გადასახელი ხელფასები  | 6,000            | (4,450)          |
|                       | <u>1,780,484</u> | <u>1,540,961</u> |

### 2. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                | 31/12/2018       |
|---------------------|------------------|
| საქონლის რეალიზაცია | 5,870,450        |
|                     | <u>5,870,450</u> |

### 3. თვითღირებულება

თვითღირებულება 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

#### თვითღირებულება

| ლარი                    | 31/12/2018       |
|-------------------------|------------------|
| საქონლის თვითღირებულება | 4,672,723        |
|                         | <u>4,672,723</u> |

#### 4. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

##### სხვა ხარჯები

ლარი

31/12/2018

დებიტორული დავალიანების რეზერვის  
ხარჯი

20,733

მარაგების გაუფასურება

27,512

მოგების გადასახადის ხარჯი -  
კანონმდებლობის თანახმად

396

48,641

#### 5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი

31/12/2018

შრომის ანაზღაურება

558,488

ავტომობილების იჯარის ხარჯი

2,750

ავტოტრანსპორტის რემონტის ხარჯები

4,656

საერთო დანიშნულების საწვავის ხარჯი

17,945

მიმდინარე რემონტის ხარჯები (საერთო  
ადმინისტრაციული)

4,518

რეკლამის ხარჯები

64,919

საბანკო მომსახურების, საკომისიოს და  
ინკასაციის ხარჯები

19,316

დაზღვევის ხარჯები

16,115

კომუნალური ხარჯი

40,778

მომსახურების ხარჯი

128,711

სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

30,881

ცვეთა და ამორტიზაცია

34,724

საიჯარო ქირა

304,877

კომუნიკაციის ხარჯები

5,725

1,234,403

6. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                   | 31/12/2018   |
|------------------------|--------------|
| სხვა ფინანსური ხარჯები | 3,041        |
|                        | <u>3,041</u> |

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ;